ᲡᲐᲥ
1988/2

ISSN 0203—2023

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ,
ᲣᲕᲔᲚᲐ
ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ,
ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ
ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ
ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ

№ 7

ᲡᲐᲥ/
1988/2

1988

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲒᲐᲜᲬᲧᲔᲑᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 7 (576) ივლისი 1988 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

167. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ.
168. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. ბ. თ. ლობჟანიძის საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.
169. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. კ. კ. გარდაფხაძის საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.
170. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება ამხ. ვ. ი. კაჭარავას საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრად დანიშვნის შესახებ.
171. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ.
172. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება 1989 წლის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების განხილვის დროებით შეწყვეტის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

173. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლეს[illegible] საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის კუტუზოვისა და წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი კრასნოდარის წითელდროშოვანი მოტომსროლელთა დივიზიის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საპატიო წოდება დაჯილდოების შესახებ.

174. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

175. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის კუტუზოვისა და წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი კრასნოდარის წითელდროშოვანი მოტომსროლელთა დივიზიის სამხედრო მოსამსახურეების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

176. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ი. სალუქვაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

177. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. შ. გ. ხერხეულიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

178. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. გ. ბარათაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

179. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. ა. დიმიტრიადის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

180. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. კ. კიკაბიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

181. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრაზიდიუმის ბრძანებულება სვერდლოვსკის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დრამის თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

182. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. პ. ხ. ბარციცის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

183. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ს. ა. სააკიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

184. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. რ. სტურუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1892

185. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. ხ. ტარკილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

186. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. კ. ვ. ჯანჯღავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

187. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. გ. მხეიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

188. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ჯ. გ. სეხნიაშვილისათვის „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

189. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. ნ. სტორჩაკისათვის „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

190. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. ჯ. გუმმასათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

191. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

192. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სახელმწიფო ახალგაზრდული დრამატული თეატრ-სტუდია „მეტეხის თეატრის“ მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

193. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ლ. იაშვილისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

194. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. გ. პაიჭაძე-ნარსიასათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

განცხადება მისამ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები.
საქართველოს რესპუბლიკაში უცხოელის დელეგაციების სტუმრად ყოფნა.

საქ. სსრ ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

167 საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეიქმნას საქართველოს სსრ სათბობის რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტი და გაუქმდეს საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტი და საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 4 ივლისი.
№ 1782—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

168 ამხ. ბ. თ. ლობჟანიძის საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დანიშნოს ამხ. ბახვა თევდორეს ძე **ლობჟანიძე** საქართველოს სსრ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 6 ივლისი.
№ 1785—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

169 ამხ. კ. კ. გარდაფხაძის საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. კარლო კონსტანტინეს ძე **გარდაფხაძე** საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის თანამდებობიდან პირადი თხოვნის თანახმად პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 6 ივლისი.
№ 1786—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

170 ამხ. ვ. ი. კაჭარავას საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ვილიამ იაკობის ძე **კაჭარავა** საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრად და განთავისუფლდეს იგი საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 6 ივლისი.
№ 1787—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

171 საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეიქმნას საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტი და გაუქმდეს საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილავეილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 13 ივლისი.
№ 1794—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

172 1989 წელს მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების განხილვის დროებით შეწყვეტის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 15 ივლისის № 9248-XI დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეწყდეს დროებით ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხების განხილვა მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის მომზადებისა და ჩატარების პერიოდში 1988 წლის 1 აგვისტოდან 1989 წლის 1 მაისამდე, გარდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 27 აპრილის № 684 დადგენილებით გათვალისწინებული საქალაქო და სადაბო საბჭოების გაუქმებასთან დაკავშირებული საკითხებისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილავეილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 28 ივლისი.
№ 1811—XI

განკოფილება მეორე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

173 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახელოვნის კუბუზოვისა და ფითელი ვარსკვლავის ორდენოსანი კრასნოდარის ფითელდროშოვანი მოტორსრულელთა დივიზიის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საპატიო ფითელი დროშით დაჯილდოების შესახებ

საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში წარმატებებისათვის და შექმნის 70 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახელო-

ბის კუტუზოვისა და წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი კრასნოდარის წითელ-დროშოვანი მოტომსროლელთა დივიზია დაჯილდოვდეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საპატიო წითელი დროშით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ჯ. პატიაშვილი	**პ. გილაშვილი**	**ო. ჩერქეზია**

თბილისი, 1988 წლის 11 ივლისი.
№ 1792—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

174 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისა და მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადებისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

ვასილ მიხეილის ძე **გოგლიძე** — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე, პროფესორი.

ნაზოელა სიმონის ასული **კახნიაშვილი** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრის პროფესორი.

ალექსანდრე ანდრიას ძე **ლლონტი** — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე, პროფესორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 8 ივლისი.
№ 1791—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

175 **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახელოგბის კუტუზოვისა და წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი კრასნოდარის წითელ-დროშოვანი მოტორმსროლელთა დივიზიის სამხედრო მოსამსახურეგბის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპაპატიო სიგელით დაჯილდოგების შესახებ**

საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში წარმატებებისათვის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის კუტუზოვისა და წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი კრასნოდარის წითელდროშოვანი მოტომსროლელთა დივიზიის შექმნის 70 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

ევგენი გენადის ძე **ბოიჩენკო.**
ალექსანდრე ანატოლის ძე **დოროფეევი.**
ვიქტორ ანატოლის ძე **დროგანი.**
გენადი ვასილის ძე **ზახაროვი.**
ვიქტორ ანდრიას ძე **კრისანოვი.**
ანატოლი ალექსის ძე **ლიფინი.**
ნაილ რიფოს ძე **მინიბაევი.**
ალექსანდრე ალექსის ძე **მოკრუშინი.**
ვიქტორ პეტრეს ძე **ჩირკოვი.**
ვიქტორ თევდორეს ძე **შიპილოვი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 11 ივლისი.
№ 1793—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

176 **ამხ. ბ. ი. სალუქვაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპაპატიო სიგელით დაჯილდოგების შესახებ**

ქართული მუსიკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის, აქტიური პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდათხუთმეტ წელთან დაკავშირებით საქართველოს მუსიკალური საზოგადოების მახარაძის რაიონული გამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გიორგი ისაკის ძე **სალუქვაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კპარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 19 ივლისი.
№ 1801—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

177 ამხ. შ. გ. ხერხეულიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

თეატრალური და კინოხელოვნების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო არტისტი შალვა გიორგის ძე **ხერხეულიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კპარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 19 ივლისი.
№ 1800—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

178 ამხ. მ. ბ. ბარათაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით მწერალი მარიამ გერვასის ასული **ბარათაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კპარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 22 ივლისი.
№ 1807—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

179 ამხ. ო. ა. დიმიტრიადის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახალხო არტისტი ოდისეი აქილევსის ძე **დმიტრიადი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კპარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 22 ივლისი.
№ 1805—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

180 ამხ. ვ. კ. კიკაბიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური და კინოხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ვახტანგ კონსტანტინეს ძე **კიკაბიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კპარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 22 ივლისი.
№ 1806—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

181 სვერდლოვსკის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დრამის თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მიმდინარე წლის ივლისში ქ. თბილისში გასტროლების წარმატებით ჩატარებისათვის **სვერდლოვსკის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწი-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფო აკადემიური დრამის თეატრი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 28 ივლისი.
№ 1812—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

182 ამხ. პ. ხ. ბარციცის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით აფხაზეთის ასსრ სატყეო მეურნეობის მინისტრი ამხ. პაჩი ხარიტონს ძე **ბარციცი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 29 ივლისი.
№ 1813—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

183 ამხ. ს. ა. საკაკიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, აფხაზეთის ასსრ სახაგრმრეწვის თავმჯდომარე ამხ. სმბატ აღასერის ძე **საკიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 29 ივლისი.
№ 1818—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

184 ამხ. რ. რ. სტურუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახალხო არტისტი რობერტ რობერტის ძე **სტურუა** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 29 ივლისი.
№ 1821—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

185 ამხ. ი. ხ. ბარკილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით გუდიუთის რაიონის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობა „დურიფშის“ თავმჯდომარე ამხ. ივანე ხაშმის ძე **ტარკილ** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლ' ' საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 29 ივლისი.
№ 1814—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

186 ამხ. კ. ვ. ჯანჯღავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი მრეწველობისა და სახალხო

№ 7

მოხმარების საქონლის განყოფილების გამგე ამხ. კლიმენტი ვარლამის ძე ჯანდავა დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კპარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 29 ივლისი.
№ 1817—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

187 ამხ. ვ. გ. მხეიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ სატიტო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქტრანსექსპედიციის“ გენერალური დირექტორის პირველ მოადგილეს ამხ. ვალერი გიორგის ძე **მხეიძეს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“** სატიტო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კპარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 8 ივლისი.
№ 1789—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

188 ამხ. ჯ. გ. სეხნიაშვილისათვის „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული ინჟინრის“ სატიტო წოდების მინიჭების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური დაპროექტებისა და ეკონომიკური პროგნოზირების ინსტიტუტის მთავარ ინჟინერს ამხ. ჯემალ გიორგის ძე **სეხნიაშვილს** მიენიჭოს **„სა-**

ქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 8 ივლისი.
№ 1788—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

189 ამხ. ი. ნ. სტორჩაკისათვის „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის აბაშის რაიონის სოფ. პირველი მაისის მ. კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ტრაქტორისტთა რგოლის ხელმძღვანელს ამხ. ივანე ნიკოლოზის ძე **სტორჩაკს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 8 ივლისი.
№ 1790—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

190 ამხ. რ. ჯ. გუმბასათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

აფხაზეთის საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის სამხატვრო ხელმძღვანელს ამხ. რაჟდენ ჯგუტანის ძე **გუმბას** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 19 ივლისი.
№ 1799—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

191 „საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის **„საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის“** საპატიო წოდება მიენიჭოთ:

ნიკოლოზ იოსლის ძე **იგნატოვს** — მონუმენტური ფერწერის სახელოსნოს ხელმძღვანელს, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორის მოვალეობის შემსრულებელს.

ზურაბ პლატონის ძე **ლეჟავას** — თბილისის სამხატვრო აკადემიის კათედრის გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 19 ივლისი.
№ 1802—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

192 სახელმწიფო ახალგაზრდული დრამატული თეატრ-სტუდია „მეტეხის თეატრის“ მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის **სახელმწიფო ახალგაზრდული დრამატული თეატრ-სტუდია „მეტეხის თეატრის“** მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი“

ალექსანდრე (სანდრო) მიხეილის ძე **მრევლიშვილს** — მთავარ რეჟისორს.

„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“

კანდიდ ალექსანდრეს ძე **გურგენიძეს** — დამდგმელ რეჟისორს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“

ლუდმილა ირაკლის ასულ **ალიმბარაშვილს** — მსახიობს.
თეიმურაზ ვლადიმერის ძე **ბიჟიაშვილს** — მსახიობს.
თეიმურაზ საბას ძე ნაცვლიშვილს — მსახიობს.

18 921

პავლე ზაქარიას ძე **ნოზაძეს** — მსახიობს.
რუსუდან რევაზის ასულ **ქვლივიძეს** — მსახიობს.

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“

თეიმურაზ ნოეს ძე **კაკუშაძეს** — დირექტორ-განმკარგულებელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 29 ივლისი.
№ 1818—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

193 ამხ. ნ. ლ. იაშვილისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის ამხ. ნანა ლუარსაბის ასულ **იაშვილს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 29 ივლისი.
№ 1816—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

194 ამხ. თ. გ. პაიჭაძე-ნარსიასათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

თეატრალური ხელოვნების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი საქმიანობისათვის ლანჩხუთის რაიონის კულტურის სახლის სახალხო თეატრის მსახიობს თამარ გიორგის ასულ **პაიჭაძე-ნარსიას** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 29 ივლისი.
№ 1815—XI

საქ. სსრ ე. მარგველის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

№ 7
ეროვნული
ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის და მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიებმა თავიანთ სხდომაზე განიხილეს საკითხი კაპიტალურ მშენებლობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის დარგობრივი ინსტიტუტების მუშაობის შესახებ. მათ ამ მიმართულებით ინსტიტუტების მუშაობა ჩათვალეს არასაკმარისად.

რჩევა მიეცათ:

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტს, სსრ კავშირის სახმშენის კომიტეტის თბილისის ზონალურ სამეცნიერო-კვლევითი ტიპობრივი და ექსპერიმენტული დაპროექტების ინსტიტუტს, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საშენ მასალათა კომპლექსურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს საქართველოს სახელმწიფო გზათა სამეცნიერო-კვლევით და საწარმოო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტს — დასახონ და განახორციელონ ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ: მეცნიერულ-ორგანიზაციული და დანერგვითი მუშაობის გააქტიურებას; სამეცნიერო კადრებისა და აღზურვილობის გამოყენების მკაცრთ გაუმჯობესებას; ინსტიტუტებში დანერგვის სამსახურის შექმნას; ტერიტორიულ-დარგთშორის გაერთიანებებსა და წარმოება-დაწესებულებებს შორის საქმიანი ურთიერთკავშირების გაღრმავებასა და გაფართოებას; მშენებლობის ხარისხის კონტროლის სისტემებისა და სათანადო ხელსაწყოების შექმნას.

საქართველოს სსრ მშენებლობის, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროებს, გაერთიანება „საქაგრომშენს“, „საქჰიდროენერგომშენს“, „საქმთავარწყალმშენს“: უზრუნველყონ მათდამი დაქვემდებარებული „ორგტექმშენებისა“ და სათანადო სამსახურების საქმიანობის გააქტიურება მეცნიერების მიღწევათა წარმოებაში დანერგვისათვის; მიაღწიონ დაქვემდებარებულ საწარმოებში საცდელ-საწარმო უბნების გამოყოფას სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისათვის.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს: უზრუნველყოს რესპუბლიკაში საყალიბო ფორმების ქარხნის მშენებლობა, ტრესტ „ორგტექმშენის“ საცდელ-საწარმოო ბაზის მოწყობა, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის საცდელ-საწარმოო ბაზის მშენებლობა პარტნიორული ხელშეკრულების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და ფინანსთა სამინისტროს — „საქმაშენმასალების“ საცდელ-საწარმოო ბაზის რეკონსტრუქციის პირველი რიგის სამუშაოების დამთავრების საჭიროებისათვის გამოყოს სათანადო თანხები აუთვისებელი სახსრებიდან.

საქართველოს სსრ „სახმშენს“: გააძლიეროს მუშაობა რესპუბლიკის კაპიტალურ მშენებლობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის და ამ პროცესში მონაწილე სამინისტროების, უწყებებისა და სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტების საქმიანობის კოორდინაცია; განიხილოს და გადაწყვიტოს დაპროექტების და მშენებლობის პრაქტიკაში საცხოვრებელი სახლების ახალ ტიპობრივ პროექტებზე გადასვლის დაჩქარების საკითხი. შეისწავლოს სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა მომზადების პარალელურად პროექტების დამუშავების მიზაწშეწონილობა; გააძლიეროს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კოორდინაცია, პრობლემატიკის აქტივიზაცია თანამედროვე მოთხოვნების დონის შესაბამისად, საგეგმო კომიტეტთან ერთად შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი მშენებლობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და კვლევითი ტექნიკით აღჭურვის გაუმჯობესების მიზნით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ეთხოვა: განიხილოს საკითხი მშენებლობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექმნის შესახებ; დაარჩაროს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანების და თბილისში განლაგებულ სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების შორის საპარტნიორო ხელშეკრულებათა თაობაზე დებულების განხილვა-დამტკიცება; დაავალოს შესაბამის ორგანიზებს შეიმუშაონ მშენებლობის დარგში მომუშავე მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსების და სხვა კადრების მორალური და მატერიალური დაინტერესების კრიტერიუმები, ხოლო საგეგმო კომიტეტს და ფინანსთა სამინისტროს დაავალოს მკვეთრად გაზარდონ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ასიგნებანი მშენებლობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი პრობლემების დამუშავებისათვის.

დეპუტატთა ჯგუფმა ამხ. ამხ. ა. პაკშენცევის (ხელმძღვანელი), ე. სეხნიაშვილის, გ. ანდრონიკაშვილის, ო. კალანდარიშვილის, ნ. მგალობლიშვილის, ზ. ლომიძის და გ. მირიანაშვილის შემადგენლობით 2 თვის ვადაში შეიმუშაოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შედეგების მშენებლობის პრაქტიკაში დანერგვის დაჩქარების ეკონომიკური ბერკეტები და წარმოუდგინოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს განსახილველად.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიამ მოისმინა მშვიდობის საბჭოთა ფონდის საქართველოს რესპუბლიკური განყოფილების მუშაობის ანგარიში. აღინიშნა, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა მშვიდობის ფონ-

№ 7
ეროვნული
ბიბლიოთეკა

დის ავტორიტეტი ჩვენს რესპუბლიკაში, აგრეთვე მასში მონაწილეობის მსურველთა რიცხვი, შესაბამისად იმატა შეტანილი სახსრების რაოდენობამ.

რესპუბლიკის თითქმის ყველა მსხვილ საწარმოსა და ორგანიზაციაში შექმნილია მშვიდობის ფონდის ხელშემწყობი კომისიები, რომლებიც საზოგადოებრივ საწყისებზე აერთიანებენ სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის აქტივისტთა დიდ არმიას. რესპუბლიკის საწარმოთა უმრავლესობა მშვიდობის ფონდის აქტიური მონაწილეა. მათში ფართოდაა დანერგილი მშვიდობის ვახტების ჩატარება, რომლებიც ეძღვნება ღირსშესანიშნავ თარიღებს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს, საბჭოთა კავშირის ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 40 წლისთავს, მსოფლიოში განიარაღების კვირეულს და სხვ. რუსთავისა და ზესტაფონის მეტალურგიული ქარხნები ყოველწლიურად ატარებენ ეგრეთწოდებულ „მშვიდობის დნობას“, ტყიბულისა და ტყვარჩელის მეშახტეები ზეგეგმით აწარმოებენ „მშვიდობის ქვანახშირს“, სატრანსპორტო გაერთიანებები აწყობენ „მშვიდობის რეისებს“, ხოლო სოფლის მეურნეობის მუშაკები თანხებს რიცხავენ საგზაფხულო სამუშაოების და ჭირნახულის აღების დაწყების დღეს. მრრომელები მშვიდობის ფონდში რიცხავენ მეცამეტე ხელფასს, ჰონორარს, ფულად ჯილდოსა და პრემიას. მშვიდობის ფონდის შეესებაში მონაწილეობენ ხელოვნების დარგის ბევრი მოღვაწე, ჩვენი სახელოვანი თეატრების კოლექტივები. საისტორიო ანსამბლები, თვითმოქმედი კოლექტივები, სხვა შრომითი კოლექტივები. დიდი წვლილი მიუძღვით მშვიდობის ფონდისათვის მოძრაობაში რესპუბლიკის ომისა და შრომის ვეტერანებს. ინტელიგენციას.

მშვიდობის ფონდს სისტემატურ და მნიშვნელოვან დახმარებას უწევს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია.

მშვიდობის ფონდში მონაწილეობის ძალზე პოპულარული ფორმაა „სოლიდარობის ბაზრობა“, რომელშიც ჩაბმულია რესპუბლიკის თითქმის ყველა სკოლა.

ამასთან კომისია აღნიშნავს, რომ შესამჩნევად შეასუსტეს მუშაობა ახმეტის, ბოლნისის, გეგეჭკორის, დმანისის, ლენტეხის, სიღნაღის, თელავის, თეთრი წყაროს, თიანეთის, ცაგერის რაიონების მშვიდობის ფონდის ხელშემწყობმა კომისიებმა, რომელთაც მიმდინარე წლის 5 თვის მანძილზე არც ერთი მანეთი არ შეუტანიათ მშვიდობის ფონდში.

აღსანიშნავია შემდეგი გარემოებაც. ისევე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, რესპუბლიკაშიც შეიქმნა ახალი საზოგადოებრივი ფონდები — ბავშვთა. კულტურის, ძეგლთა დაცვის და სხვ., რამაც გამოიწვია მშვიდობის ფონდში შესატანი თანხების კლება. გარდა ამის ჯერ კიდევ სუსტია ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების პროპაგანდისტული საქმიანობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიამ საჭირო რჩევა მისცა მშვიდობის საბჭოთა ფონდის საქართველოს რესპუბლიკურ განყოფილებას, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, თეატრის მოღვაწეთა კავშირს, საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს, საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს ალკა ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებსა და საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს.

*

■ ■

ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედისა და ბავშვის დაცვის საკითხების კომისიამ განიხილა რა „ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში მათი ფართოდ ჩაბმის თაობაზე კანონმდებლობის მოთხოვნათა შესასრულებლად ადეგენისა და ხაშურის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების მუშაობის შესახებ“ თავისი 1987 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილების შესასრულებლად აღნიშნული რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების, შესაბამისი მუდმივი კომისიების, აგრეთვე საწარმოების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მიერ გაწეული მუშაობა, აღნიშნა, რომ ზემოთ მითითებულ **რაიონებში ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების,** დედისა და ბავშვის დაცვის საკითხების მოგვარებაში ჯერ კიდევ არსებითი ნაკლოვანებებია.

კომისიამ რჩევა მისცა ადეგენისა და ხაშურის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებს გააძლიერონ მუშაობა ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, მტკიცედ დაიცვან კანონმდებლობის მოთხოვნები ქალებისათვის შეღავათების მინიჭების თაობაზე, სკოლამდელი აღზრდის ბავშვთა დაწესებულებების ქსელის შემდგომი განვითარებით უზრუნველყონ შრომისუნარიანი ბავშვიანი ქალების საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ჩაბმა.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ერჩია განახორციელოს ღონისძიებანი ხაშურის საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკაში ხმაურისა და მავნე აირების შემცირების და მძიმე ტვირთების გადატანის მექანიზაციის საკითხების მოსაგვარებლად.

■

■ ■

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიამ სხდომაზე განიხილა საკითხი „რესპუბლიკის ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოებში გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის თაობაზე“ თავისი 1986 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკაში უცხოეთის დელეგაციების სტუმრად ყოფნა

13 ივლისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი შეხვდა ავსტრალიის ფედერალური პარლამენტის სენატის თავმჯდომარეს კ. უ. საიბრას, რომელიც საბჭოთა კავშირში ოფიციალურ გეზიტად იმყოფება. საუბრის დროს სტუმარს გააცნეს რესპუბლიკაში გარდაქმნის მიმდინარეობა, სიძნელენი, რომლებიც ამ გზაზე ხვდებათ.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. შ. კაბულოვი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ა. კვარაცხელია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე რ. ა. გოგლიძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ვ. რ. ასათიანი, ა. რ. სანებლიძე და სხვა ოფიციალური პირნი.

საუბარში მონაწილეობდა ავსტრალიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ჩ. რ. ეჩვინი.

ეცნობოდა რა რესპუბლიკის ცხოვრებას, კ. უ. საიბრა ეწვია რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას, დაათვალიერა თბილისის სადღესასწაულო რიტუალების სასახლე, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციები, ქალაქის ძველი ნაწილის რესტავრირებული უბნები, დაესწრო ფოლკლორული მუსიკის კონცერტს წმინდა ნიკოლოზის ტაძარში.

*
* *

23 ივლისს თბილისში ჩამოვიდა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების კანონმდებლობის კომისიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე სუნ ჟუფენი. იგი საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის მოწვევით.

დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ვ. გ. ლომონოსოვი, რომელიც ახლავს მას ქვეყანაში მოგზაურობის დროს. ჩინეთის პარლამენტარები ეცნობიან ქვეყანაში, კერძოდ, საქართველოში, გარდაქმნისა და სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების მიმდინარეობას.

23 ივლისს სუნ ჟუფენი, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის წევრები ძიან პინი, სუნ ჩენჯი, ჩენ სიანი, დელეგაციის სხვა წევრები ეწვივნენ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი გულთბილად მიესალმა სტუმრებს. მათ უამბეს საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს, მისი მუდმივი კომისიების საქმიანობის, ადგილობრივი საბჭოების როლის გაძლიერების შესახებ, იმაზე, თუ როგორ ახორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციელებენ რესპუბლიკის მშრომელები სკკპ XXVII ყრილობის, საკავშირო პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებს გარდაქმნის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დარგში.

სტუმრებმა დათვალიერეს თბილისის მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, რესპუბლიკის დედაქალაქისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობები. დელეგაცია გაემგზავრა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, ეწვია კოლმეურნეობას, დათვალიერა შავი ზღვის რამდენიმე კურორტი.